საქართველოს კულტურის, სპორტისა
და ახალგაზრდობის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 209
26/09/2022

209-2-4-202209261800

დოკუმენტური ფილმის 2023 წლის წარმოების
დაფინანსების მიზნით კონკურსის (#2/5) გამოცხადების თაობაზე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს #3/257 ბრძანებით დამტკიცებული ,,კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულების" პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. 2022 წლის 26 სექტემბერს გამოცხადდეს კონკურსი (#2/5) დოკუმენტური ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით წინამდებარე ბრძანების დანართ 1-ში აღწერილი პირობებით.
2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) აი-ტი სპეციალისტს დავით ყურაშიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

კარლო (კახა) სიხარულიძე

დირექტორი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა/ QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE